

2015 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2015 წლის პირველი ექვსი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2.6 პროცენტი შეადგინა. აქედან, 2015 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 3.2 პროცენტი, ხოლო II კვარტალში 2.1 პროცენტი შეადგინა.

2015 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (17.2%), საფინანსო საქმიანობა (8.9%), სასტუმროები და რესტორნები (8.9%).

ფასები

2015 წლის ივნისში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 2.5 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის ივნისში 2014 წლის ივნისთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 4.5 პროცენტით გაიზარდა. 2014 წლის შესაბამის პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 2.0 პროცენტი იყო.

12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასები ალკოჰოლური სასმელებმა და თამბაქომ 11.4 პროცენტით, ჯანდაცვამ 7.4 პროცენტით, ხოლო სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 5.7 პროცენტული პუნქტით გაზარდა.

გაცვლითი კურსი

2015 წლის იანვარ-ივნისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ რყევებით ხასიათდებოდა. 2015 წლის ივნისში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 20.0 პროცენტით გაუფასურდა და 2.263 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან, გაუფასურდა 5.5 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2015 წლის ივნისში 2014 წლის ივნისთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 16.4 პროცენტით გაიზარდა და 11 792.2 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 8.6 პროცენტით და 5 658.3 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2015 წლის იანვარ-ივნისში მთლიანი დეპოზიტები 6.1 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 7.3 პროცენტით შემცირდა, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 16.2 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის ივნისში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 5.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 62.5 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში 3.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა სესხებით დოლარიზაციის კოეფიციენტი და 64.6 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2015 წლის იანვარ-ივნისში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 პროცენტით შემცირდა და 4 761 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 1 082 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 3 680 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად, 24 პროცენტით და 9 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2015 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 15.9 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი 8.6, ჩინეთი 7.8, რუსეთი 7.1, უკრაინა 5.4 პროცენტული წილებით და ა.შ.

ექსპორტში 12.1 პროცენტით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე თურქეთი 10.1 პროცენტით, მესამეზე ბულგარეთი 9.4 პროცენტით, მეოთხეზე სომხეთი 9.1 პროცენტით და ა.შ.

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 17.6 პროცენტით, შემდეგ მოდიან ჩინეთი 8.6 პროცენტი, აზერბაიჯანი 7.6 პროცენტი, რუსეთი 7.2 პროცენტი და ა.შ.

ცვლილება მოხდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 12.0 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 10.2 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 9.2 პროცენტი, თხილი და სხვა კაკალი 6.8 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 6.0 პროცენტი და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.3 პროცენტის წილი უკავია. შემდეგ მოდიან: სამკურნალო საშუალებები 8.1 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 6.6 პროცენტი, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადებია 6.0 პროცენტი და ა.შ.

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2015 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 005 535,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 4 215 671,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105,2%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 708 200,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 814 376,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,9%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 90 484,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 100 472,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 111,0%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 206 851,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 300 823,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 145,4%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 162 538,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (35 500,0 ათასი ლარი) 457,9%-ია. აქედან, შემოსულობა რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიიდან შეადგენს 90 382,0 ათას ლარს (შპს მობიტელის, შპს ჯეოსელის და შპს მაგთიკომის მიერ ლიცენზიებით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის თანხები).

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 39 066,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (33 400,0 ათასი ლარი) 117,0%-ია.

**2015 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

	<i>ათასი ლარი</i>			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	4,005,535.2	4,215,671.9	210,136.7	105.2
გადასახადები	3,708,200.0	3,814,376.5	106,176.5	102.9
საშემოსავლო გადასახადი	967,600.0	1,006,659.8	39,059.8	104.0
მოგების გადასახადი	487,700.0	566,773.0	79,073.0	116.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,634,000.0	1,663,756.9	29,756.9	101.8
აქციზი	417,400.0	373,582.4	-43,817.6	89.5
იმპორტის გადასახადი	54,100.0	35,846.7	-18,253.3	66.3
ქონების გადასახადი	135,000.0	156,957.1	21,957.1	116.3
სხვა გადასახადი	12,400.0	10,800.7	-1,599.3	87.1
გრანტები	90,484.2	100,472.2	9,988.0	111.0
სხვა შემოსავლები	206,851.0	300,823.2	93,972.2	142.4

**ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსავლების შესრულების შესახებ**

2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 691 179,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 827 372,4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103,7%.

**2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

	<i>ათასი ლარი</i>			
დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	3,691,179.2	3,827,372.4	136,193.2	103.7
გადასახადები	3,504,100.0	3,581,024.8	76,924.8	102.2
გრანტები	90,484.2	100,370.4	9,886.2	110.9
სხვა შემოსავლები	96,595.0	145,977.2	49,382.2	151.1

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 504 100,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 581 024,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,2%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 930 301,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (898 500,0 ათასი ლარი) 103,5%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 566 773,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (487 700,0 ათასი ლარი) 116,2%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 663 756,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 634 000,0 ათასი ლარი) 101,8%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 373 582,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (417 400,0 ათასი ლარი) 89,5%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 35 846,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (54 100,0 ათასი ლარი) 66,3%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 10 764,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 400,0 ათასი ლარი) 86,8%-ია.

2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

	<i>ათასი ლარი</i>			
დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	3,504,100.0	3,581,024.8	76,924.8	102.2
საშემოსავლო გადასახადი	898,500.0	930,301.3	31,801.3	103.5
მოგების გადასახადი	487,700.0	566,773.0	79,073.0	116.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,634,000.0	1,663,756.9	29,756.9	101.8
აქციზი	417,400.0	373,582.4	-43,817.6	89.5
იმპორტის გადასახადი	54,100.0	35,846.7	-18,253.3	66.3
სხვა გადასახადი	12,400.0	10,764.5	-1,635.5	86.8

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 90 484,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 100 370,4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 110,9%.

	<i>ათასი ლარი</i>
დასახელება	იანვარი - ივნისი
გრანტები	100,370.4
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	29,971.2
საინვესტიციო გრანტები	46,775.6
EC	5,350.5
SIDA	131.5
ORET	0.0
CNF	653.4
IFAD	42.1

დასახელება	იანვარი - ივნისი
KfW	6,973.9
MCC	12,459.2
USAID	21,165.1
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	23,623.5

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 96 595,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 145 977,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 151,1%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 34 757,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26 700,0 ათასი ლარი) 130,2%-ია. აქედან,
 - **პროცენტები** - 23 517,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23 200,0 ათასი ლარი) 101,4%-ს შეადგენს.
 - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 152,6 ათასი ლარი.
 - **რენტის** სახით მობილიზებულია 11 087,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 500,0 ათასი ლარი) 316,8%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 25 893,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (24 595,0 ათასი ლარი) 105,3%-ია. აქედან,
 - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 24 055,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23 490,0 ათასი ლარი) 102,4%-ია. მათ შორის:
 - სალიცენზიო მოსაკრებელი - 280,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (650,0 ათასი ლარი) 43,1%-ია;
 - სანებართვო მოსაკრებელი - 14 055,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 900,0 ათასი ლარი) 101,1%-ია.
 - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 745,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (480,0 ათასი ლარი) 155,3%-ია;
 - სახელმწიფო ბაჟი - 6 917,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 300,0 ათასი ლარი) 94,8%-ია;
 - საკონსულო მოსაკრებელი - 1 388,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (640,0 ათასი ლარი) 217,0%-ია;
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 466,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (400,0 ათასი ლარი) 116,6%-ია.
 - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 201,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (120,0 ათასი ლარი) 168,1%-ია.
 - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 1 838,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 105,0 ათასი ლარი) 166,4%-ია, მათ შორის:
 - საქონლის რეალიზაციიდან - 105,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70,0 ათასი ლარი) 150,8%-ია;
 - მომსახურების გაწევიდან - 1 665,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 035,0 ათასი ლარი) 160,9%-ია;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 29 462,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (30 000,0 ათასი ლარი) 98,2%-ია,
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 9 547,8 ათასი ლარი.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 46 315,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 300,0 ათასი ლარი) 302,7%-ია.

**2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	96,595.0	145,977.2	49,382.2	151.1
შემოსავლები საკუთრებიდან	26,700.0	34,757.4	8,057.4	130.2
პროცენტები	23,200.0	23,517.7	317.7	101.4
დივიდენდები		152.6	152.6	
რენტა	3,500.0	11,087.1	7,587.1	316.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	24,595.0	25,893.7	1,298.7	105.3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	23,490.0	24,055.1	565.1	102.4
სალიცენზიო მოსაკრებლები	650.0	280.1	-369.9	43.1
სანებართვო მოსაკრებლები	13,900.0	14,055.1	155.1	101.1
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	480.0	745.6	265.6	155.3
სახელმწიფო ბაჟი	7,300.0	6,917.4	-382.6	94.8
საკონსულო მოსაკრებელი	640.0	1,388.7	748.7	217.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	400.0	466.4	66.4	116.6
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	120.0	201.7	81.7	168.1
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1,105.0	1,838.6	733.6	166.4
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	70.0	105.6	35.6	150.8
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,035.0	1,665.0	630.0	160.9
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		68.0	68.0	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	30,000.0	29,462.5	-537.5	98.2
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		9,547.8	9,547.8	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	15,300.0	46,315.8	31,015.8	302.7

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 136 573,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26 000,0 ათასი ლარი) 525,3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 38 743,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (33 400,0 ათასი ლარი) 116,0%-ია.